1

პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N

..... დეკემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის
უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, 27[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. შეუწყდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე, 2022 წლის 29 დეკემბრიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ბესიკ ბრეგაძეს არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ, 6 თვის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობის გამო.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრს, ბესიკ ბრეგაძეს შეუწყდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილება ვადამდე, 2022 წლის 29 დეკემბრიდან.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის დასკვნა განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 3. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

თ.ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი

ი. ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი